2011

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დავების განხილვის საბჭო

[სტატისტიკური ანგარიში]

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2011 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მიერ.

საერთო მაჩვენებლები

2011 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 2258 მომართვა. ამავე პერიოდში საბჭომ წარმოება დაასრულა 1929 საჩივარზე.

2011 წელს წარმოების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელმა 34 დღე შეადგინა. საბჭოს წინაშე სადავო თანხამ შეადგინა 410,073,349 ლარი.

საჩივრების დინამიკა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სანდოობა იზრდება, რასაც მოწმობს რეგისტრირებული საჩივრების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ დავების საბჭოში გასაჩივრება სავალდებულო არ არის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, სულ უფრო მეტი მომჩივანი არჩევს გაიაროს დავების განხილვის საბჭოს ეტაპი.



სადავო თანხის დინამიკა 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირია:



საბჭოსა და მისი აპარატის რესურსების მობილიზების ხარჯზე მოხერხდა საჩივრის განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებლის შემცირება და მან გასულ წელთან შედარებით 3–ით ნაკლები – 34 დღე – შეადგინა.

სამართალწარმოების ხანგრძლივობა

2011 წელს საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უმეტეს შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იყო პირველივე ზეპირი მოსმენისას ან განხილვის ერთი შეჩერებით, რაც მიუთითებს აპარატის მიერ საჩივრის განსახილველად მომზადების მაღალ ხარისხზე.



გადაწყვეტილებები

2011 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 1300 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 368 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 261 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.





მომჩივნები

2011 წელს მომჩივანთა უმეტესი ნაწილი ინდივიდუალურმა მეწარმეებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა შეადგინეს:



2011 წელს განხილული საჩივრებიდან ხარვეზი საერთო რაოდენობის 6%–ზე დადგინდა.



დავის საგნები

2011 წელს საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. არასწორად ნაწარმოები საგადასახადო აღრიცხვის გამო არაპირდაპირი მეთოდით განხორციელებული დარიცხვა;
2. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
3. ქრონომეტრაჟით გამოვლენილი ბრუნვის შემცირება;
4. ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აღურიცხავი საქონლისა და დანაკლისის გამოვლენა;
5. საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისა და მასში თანხის შემცირების გამოვლენა;
6. დღგ–ის უკანონო ჩათვლა;
7. სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა;
8. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა;
9. დღგ–ით დასაბეგრი ობიექტის განსაზღვრა; ოპერაციის განხორციელების მომენტისა და მოცულობის კორექტირება;
10. საქართველოს საზღვარზე საქონლის უკანონო გადმოტანა;
11. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
12. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული საწვავის არასწორად ჩამოწერა;
13. საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ანგარიშვალდებულ პირზე ხელფასის სახით განაცემად მიჩნევა;
14. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
15. საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა;
16. საბაზრო ფასის განსაზღვრა;